

ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის
2006 წლის 28 დეკემბრის N 774 ბრძანებულებით

შეთანხმება **საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის** **მთავრობას შორის ინვესტიციების** **წახალისებისა და დაცვის შესახებ**

საქართველოს მთავრობა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში
„ხელშემკვრელ მხარეებად“ წოდებულნი,

აცნობიერებენ რა აუცილებლობას არადისკრიმინაციულ საფუძველზე დაიცვან
ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციები მეორე ხელშემკვრელი
მხარის ტერიტორიაზე,

აქვთ რა სურვილი გააღრმავონ ეკონომიკური თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის,
ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებისა და კომპანიების მიერ მეორე
ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების
გათვალისწინებით,

აცნობიერებენ, რომ მსგავსი ინვესტიციები ხელს შეუწყობენ კერძო კაპიტალის
მოზღვავებას, აგრეთვე ხელშემკვრელ მხარეთა ეკონომიკურ განვითარებას,

შეთანხმდნენ რა, რომ ინვესტიციების სტაბილური სტრუქტურა ხელს შეუწყობს
ეკონომიკური რესურსების ექტური გამოყენების გაზრდას და ცხოვრების დონის
ამაღლებას,

აცნობიერებენ რა, რომ ეკონომიკური და ბიზნესკავშირების განმტკიცება ხელს
შეუწყობს საერთშორისოდ აღიარებული შრომითი უფლებების დაცვას,

შეთანხმდნენ რა, რომ აღნიშნული მიზნები არ იქნება მიღწეული ჯანდაცვის,
უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროების მიზნების საზიანოდ,

გადაწყვიტეს რა დადონ შეთანხმება ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის
შესახებ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

განმარტებანი

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს ნებისმიერი სახის ქონებასა და უფლებას, დაბანდებულს და მოპოვებულს ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების მიერ, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მისი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება:

ა) მოძრავ და უძრავ ქონებას, ისევე როგორც სხვა ბნებისმიერ საკუთრების უფლებებს, როგორცაა დაგირავება, ყადაღა, გირაო, იჯარა, უზუფრუქტი ან სხვა მსგავსი უფლებები;

ბ) კომპანიის აქციებს, წილს, ობლიგაციებს და კომპანიაში ან ნებისმიერ საწარმოში მონაწილეობის ყველა სხვა ფორმას;

გ) ფულად მოთხოვნას ან ეკონომიკური ღირებულების მქონე ნებისმიერ საქმიანობას;

დ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, რომელიც მოიცავს პატენტებს, საავტორო უფლებებს, სავაჭრო ნიშნებს, ინდუსტრიულ გამოგონებას, კომერციულ სახელებს, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ნიშნებს, ტექნიკურ პროცესებს, ნოუჰაუსს და გუდვილს; და

ე) კანონის შესაბამისად საადმინისტრაციო აქტით ან კონტრაქტით გათვალისწინებულ სამეწრმეო კონცესიებს, ბუნებრივი რესურსების ძიებას, დამუშავების, მოპოვების ან ექსპლოატაციისათვის კოცესიების ჩათვლით.

ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ამავე ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი იურიდიული პირის მიერ დაბანდებული ინვესტიციები, რომლებსაც ფაქტიურად ფლობენ და პირდაპირი და არაპირდაპირი გზით აკონტროლებენ მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, მიიჩნევა ამ უკანასკნელი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ დაბანდებულ ინვესტიციებად, იმ პირობით, რომ ინვესტიციები დაბანდებულია პირველი ხელშემკვრელი მხარის კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ნებისმიერი ცვლილება კაპიტალის ინვესტირების და რეინვესტირების ფორმაში არ შეცვლის ინვესტიციის ხასიათს.

2. ტერმინი „შემოსავალი“ ნიშნავს ინვესტიციების შედეგად ამონაგებ თანხას და კერძოდ, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მოგებას, დივიდენდებს, პროცენტს, როიალტის, კაპიტალის ზრდით მიღებულ მოგებას და ინვესტიციასთან დაკავშირებულ სხვა სახის შემოსავალს.

ინვესტიციათა მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, ამ ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ჩაითვლება პირველ ინვესტიციასთან დაკავშირებულ

შემოსავლად.

3. ტერმინი „ინვესტორი“ ნიშნავს თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის იმ სუბიექტს, რომელიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ახორციელებს ინვესტიციას მეორე ხელშემკვრელი მხარის კანონების, ნორმატიული აქტებისა და მოცემული მეთაუნხმების დებულებების შესაბამისად:

ა) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა და მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად; ან

ბ) ნებისმიერ იურიდიულ პირს, როგორცაა კომპანია, კორპორაცია, ფირმა, კომერციული კომპანია, ბიზნეს-ასოციაცია, ინსტიტუტი ან ორგანიზაცია, რომელსაც ერთერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გააჩნია მთავარი ოფისი, არის რეგისტრირებული ან დაფუძნებული, და მოქმედებს ამ ხელშემკვრელი მხარის იურისდიქციის შესაბამისად და ასევე მიუხედავად იმისა ითვლება თუ არა მისი პასუხისმგებლობა შეუზღუდავად.

4. ტერმინი „ტერიტორია“ ნიშნავს:

(ა) საქართველოს მიმართ მის საზღვრებში საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ სივრცეს, მათ შორის სახმელეთო სივრცეს, შიდა წყლებს და ტერიტორიულ ზღვას, საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ, ასევე მის ტერიტორიულ ზღვასთან მიმდებარე ეკსკლუზიურ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფს, რომელთა მიმართაც საქართველო ახორციელებს საკუთარ სუვერენულ უფლებებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ამ ზონებში ბუნებრივი წიაღისეულის აღმოჩენისა და გამოყენებისათვის.

(ბ) ფინეთის რესპუბლიკის მიმართ ნიშნავს მის სახმელეთო სივრცეს, შიდა წყლებს და ტერიტორიულ ზღვას, მის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეს, ისევე როგორც ტერიტორიული ზღვასთან მიმდებარე სანაპირო ზოლის, ზღვის ფსკერისა და მისი ქვეშეთის ჩათვლით, რომლის მიმართაც ის ახორციელებს სუვერენულ უფლებებს ან იურისდიქციას ძალაში არსებული ეროვნული კანონების და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ამ ზონებში ბუნებრივი წიაღისეულის აღმოჩენისა და გამოყენებისათვის.

მუხლი 2

ინვესტიციების წახალისება და დაცვა

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე ხელს შეუწყობს თავის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს და დაუშვებს ასეთ ინვესტიციებს მისი კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარე თავის საკუთარ ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორთა მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, აგრეთვე ინვესტორთა მიერ ინვესტიციათა განხორციელების შედეგად მიღებული მოგებას, მიანიჭებს სამართლიან და მიუკერძოებელი რეჟიმს, უზრუნველყოფს მათ სრულ დაცვასა და უსაფრთხოებას.

3. არცერთი ხელშემკვერელი მხარე არაგონივრული ან თვითნებური ზომებით ზიანს არ მიაყენებს მის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორების ინვესტიციების შექმნას, ზრდას, ექსპლოატაციას, მართვას, შენარჩუნებას, გამოყენებას, მოხმარებას და რეალიზაციას ან სარგებლობას.

მუხლი 3

ინვესტიციების უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მოაქცევს მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს ისეთ რეჟიმში, რომელიც არ იქნება ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც ანიჭებს საკუთარ ინვესტორებსა და ინვესტიციებს, ინვესტიციების შექმნასთან, ზრდასთან, ექსპლოატაციასთან, მართვასთან, შენარჩუნებასთან, გამოყენებასთან, მოხმარებასთან და რეალიზაციასთან ან სარგებლობასთან დაკავშირებით.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მოაქცევს მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორებს და მათ ინვესტიციებს ისეთ რეჟიმში, რომელიც არ იქნება ნაკლებად ხელსაყრელი ვიდრე რეჟიმი, რომელსაც ანიჭებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დონე ინვესტორებსა და ინვესტიციებს, ინვესტიციების დაფუძნებასთან, შექმნასთან, ზრდასთან, ექსპლოატაციასთან, მართვასთან, შენარჩუნებასთან, გამოყენებასთან, მოხმარებასთან და რეალიზაციასთან ან სარგებლობასთან დაკავშირებით.

3. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორებს და მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს მიანიჭებს ა მ მუხლის 1 და 2 ქვეპუნქტებიდან იმ ქვეპუნქტის პირობებს, რომლებიც უფრო ხელსაყრელი იქნება ინვესტორისათვის.

4. არცერთი ხელშემკვერელი მხარე თავის ტერიტორიაზე არ შემოიღებს სავალდებულო ზომებს მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციების მიმართ, მასალის შესყიდვასთან, წარმოების საშუალებებთან, მოქმედებასთან, ტრანსპორტირებასა და მარკეტინგთან დაკავშირებით, ან სხვა მსგავს სავალდებულო უსაფუძვლო ან დისკრიმინაციული ეფექტის მქონე ზომებს.

მუხლი 4

გათავისუფლება

მოცემული შეთანხმების დებულებები არ უნდა იქნეს შედგენილი იმგვარად, რომ ავალდებულებდეს ერთ–ერთ ხელშემკვრელ მხარეს ხელსაყრელი რეჟიმით, უპირატესობით ან პრივილეგიით სარგებლობის უფლება გაავრცელოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ან მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, შემდეგი არსებული ან მომავალი ფაქტორების საფუძველზე:

ა) თავისუფალი სავაჭრო ზონა, საბაჭო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური ან მონეტარული კავშირი ან სხვა მსგავსი რეგიონული ეკონომიკური საინტეგრაციო შეთანხმება, რეგიონული შრომითი ბაზრის შეთანხმების ჩათვლით, რომლის მონაწილეა ან რომლის მონაწილედ შეიძლება გახდეს ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარე, ან

ბ) შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ან სხვა საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მთლიანად ან ძირითადად ეხება დაბეგვრას, ან

გ) მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც მთლიანად ან ძირითადად ეხება ინვესტიციებს.

მუხლი 5 **ექსპროპრიაცია**

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციები არ ექვემდებარება ექსპროპრიაციას, ნაციონალიზაციას ან სხვა ნებისმიერ პირდაპირ და არაპირდაპირ ზომას, რომელსაც გააჩნია ექსპროპრიაციის ან ნაციონალიზაციის (შემდგომში „ექსპროპრიაციად“ წოდებული) ექვივალენტური ხასიათი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ხდება არადისკრიმინაციულ საფუძველზე, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და კანონის სათანადო პროცედურების შესაბამის, მყისიერი, ადეკატური და ეფექტური კომპენსაციის სანაცვლოდ.

2. სეთი კონპენსაციის დონე განისაზღვრება ექსპროპრირებული ინვესტიციის საბაზრო ღირებულების საფუძველზე, უშუალოდ ექსპროპრიაციული ღონისძიების მიღებამდე ან შესაძლო ექსპროპრიაციის გამოცხადებამდე, გააჩნია რომელი უფრო ადრე მოხდება. ღირებულება განისაზღვრება შეფასების საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად, ინვესტირებული კაპიტალის, აღდგენითი ღირებულების, შეფასების ღირებულების, მიმდინარე ამონაგების, მომავალი ამონაგების წინასწარ გაანგარიშებული ნაკადის, გუდვილისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით.

3. ასეთი კომპენსაცია დაუყოვნებლივ განხორციელებულ და გადახდილ იქნება

შეზღუდვისა და შეფერხების გარეშე. კომპენსაცია უნდა შეიცავდეს ქონების ექსპროპრიაციის დღიდან რეალური გადახდის დღემდე “LIBOR”-ის ტოლ ან ექვივალენტურ საპროცენტო განაკვეთს, მიღებულს კომერციული კურსით.

4. ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ როცა ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს იმ კომპანიის კაპიტალის ან მისი ნაწილის ექსპროპრიაციას, რომელიც ინკორპორირებულია ან დაფუძნებულია იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონების შესაბამისად, რომელშიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები ფლობენ წილებს, ან როდესაც ექსპროპრიაციის ობიექტი არის ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დაარსებული ერთობლივი საწარმო, ადგილსამყოფელი ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს ექსპროპრიაციის მომენტისათვის არსებული ასოციაციის წესდების და კომპანიების ან ერთობლივი საწარმოების სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის სრულ დაცვას.

5. მოცემული შეთანხმების მე–9 მუხლის დაურღვევლად, ინვესტორებს, რომელთაც შეეხო ექსპროპრიაცია, ეძლევათ უფლება მოცემული მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, მოითხოვონ საქმის გადახედვა და ინვესტიციების შეფასება ამ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 6 **კომპენსაცია დანაკარგებისათვის**

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, რომლის ინვესტიციები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განიცდიან ზარალს ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ომის ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტის, საგანგებო მდგომარეობის, აჯანყების ან ამბოხების გამო, მოექცევიან ამ ხელშემკვრელი მხარის მიერ ისეთ რეჟიმში, რომელიც, რაც შეეხება ზარალის ანაზღაურებას, კომპენსაციას, გადახდას ან სხვა ანგარიშსწორებას, არ იქნება ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც მეორე ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს საკუთარ ინვესტორებს ან საუკეთესო ხელსაყრელი რეჟიმის მქონე ქვეყნების ინვესტორებს, იმის მიხედვით, თუ რომელ რეჟიმს ჩათვლის ინვესტორი უფრო ხელსაყრელად.

2. მოცემული შეთანხმების 1–ლი პარაგრაფის დაურღვევლად, ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, რომლებიც წინამდებარე პარაგრაფით გათვალისწინებული მოვლენების გამო მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განიცდიან ზარალს შემდეგი ფაქტორების შედეგად:

(ა) მეორე ხელშემკვრელი მხარის შეიარაღებული ძალების ან ხელისუფლების მიერ ინვესტიციების ან მათი ნაწილის მოთხოვნა, ან

(ბ) მეორე ხელშემკვრელი მხარისაგან მიღებული შეიარაღებული ძალების ან ხელისუფლების მიერ ინვესტიციების ან მათი ნაწილის განადგურება, რაც არ იყო გათვალისწინებული მდგომარეობის აუცილებლობით,

მეორე ხელშემკვრელი მხარისაგან მიღებენ ანაზღაურებას ან კომპენსაციას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში იქნება დროული, ადეკვატური და ეფექტური, ხოლო კომპენსაცია განხორციელდება მე-5 მუხლის მეორე და მესამე პუნქტების თანახმად, განაცხადის წარდგენის ან ზარალის მიღების დღიდან რეალური გადახდის დღემდე.

მუხლი 7 **თავისუფალი ტრანსფერტები**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებისათვის უზრუნველყოფს მათ ინვესტიციებთან დაკავშირებულ თავისუფალ ტრანსფერტებს და ფულად გადარიცხვებს როგორც თავის ტერიტორიაზე, ასევე თავისი ტერიტორიიდან. ასეთი თანხები უნდა შეიცავდეს, თუმცა არ უნდა შემოიფარგლებოდეს:

ა) არსებული ინვესტიციების შენარჩუნების, განვითარებისა და ზრდისათვის აუცილებელ კაპიტალს და დამატებით თანხებს;

ბ) მოგებას;

გ) ინვესტიციების მთლიანი ან ნაწილობრივი გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებს, წილების გაყიდვის ჩათვლით;

დ) იმ ხარჯების გადახდისათვის აუცილებელ თანხებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ინვესტიციების ისეთ მოქმედებისაგან, როგორცაა სესხის დაფარვა, როიალიტის გადახდა, ადმინისტრაციული გადასახადები და სალიცენზიო მოსაკრებლები და სხვა მსგავსი ხარჯები;

ე) მე-5, მე-6 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ნებისმიერ კომპენსაციას;

ვ) დავის დარეგულირების შედეგად წარმოშობილ გადახდებს;

ზ) იმ უცხოელ თანამშრომელთა ხელფასებს და სხვა ანაზღაურებას, რომლებიც მუშაობენ მის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადარიცხვები განხორციელდება შეზღუდვის გარეშე, და იმავდროულად, ინვესტორის მიერ შერჩეულ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, გადარიცხვის მომენტში არსებული ვალუტის საბაზრო გაცვლითი

კურსით.

3. საბაზრო გაცვლითი კურსის არასებობის შემთხვევაში, გამოიყენება ბოლო გაცვლითი კურსი, რომელიც არსებობდა ვალუტის გადაცვლისათვის სპზ-ში (სესხის სპეციალიზებულ უფლებაში).

4. ადგილსამყოფელი ხელშემკვრელი მხარის მიერ ტრანსფერის განხორციელების შეთანხმების შემთხვევაში, ტრანსფერი ასევე უნდა შეიცავდეს არსებული ვალუტისათვის „LIBOR“-ის ტოლ ან ექვივალენტურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დაწესებულია ბაზარზე აღნიშნული ვალუტისათვის ტრანსფერტის მოთხოვნის დღიდან ტრანსფერტის ფაქტიური განხორციელების დღემდე, რომლის ხერჯებსაც გაიღებს ხელშემკვრელი მხარე.

5. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიუხედავად, ხელშემკვრელ მხარეს, მისი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია დროებით შეაჩეროს თანხების გადარიცხვა მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულ და კეთილი ნების საფუძველზე, რათა უზრუნველყოს ინვესტორის მიერ გადარიცხვის მომენტისათვის მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, ამასთან ამგვარმა ზომებმა და მათმა გამოყენებამ უმიზეზოდ არ უნდა შეუშალოს ხელი ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გადარიცხვების განხორციელებას.

მუხლი 8 სუბროგაცია

თუ ერთი ხელშემკვრელი მხარე ან მის მიერ დანიშნული სააგენტო ახორციელებს გადახდას თავისი ინვესტორისათვის, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით გაცემული დაზღვევის გარანტიის, გარანტიის ან სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე ხელშემკვრელი მხარე ცნობს პირველი ხელშემკვრელი მხარის ან მის მიერ დანიშნული სააგენტოს ინვესტორის უფლების ან მოთხოვნის დათმობას და ამ ხელშემკვრელი მხარის ან მის მიერ დანიშნული სააგენტოს უფლებას, სუბროგაციის საფუძველზე, ისარგებლოს იმ ნებისმიერი მსგავსი უფლებით და მოთხოვნით, რომლითაც სარგებლობდა მისი წინამორბედი.

მუხლი 9 ინვესტორსა და ხელშემკვრელ მხარეს შორის დავის მოგვარება

1. ინვესტიციებთან დაკავშირებით ერთ ხელშემკვრელ მხარესა და მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორს შორის წარმოქმნილი დავა უნდა მოგვარდეს მეგობრული მოლაპარაკებების გზით.

2.თუ დავა ვერ მოგვარდება წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის დღიდან სამი (3) თვის მანძილზე, საქმე, ინვესტორის შეხედულებისამებრ, შეიძლება გადაეცეს:

ა) იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა ინვესტიცია; ან

ბ) საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრს (ICSID), რომელიც შექმნილია სახელმწიფოებისა და მეორე სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ 1965 წლის 18 მარტის ვაშინგტონის კონვენციით (შემდგომში „ცენტრად“ წოდებული), როდესაც ორივე ხელშემკვრელი მხარე არის ცენტრის წევრი; ან

გ) ცენტრთან არსებულ ორგანოს, იმ პირობით, რომ ხელშემკვრელ მხარეთაგან ერთი მაინც არის მოცემული პარაგრაფის (ბ) ქვე-პარაგრაფით გათვალისწინებული კონვენციის მონაწილე.

დ) სპეციალურ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც, თუ მხარეებს შორის სხვა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაარსებულია საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის გაეროს კომიტეტის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

3. ინვესტორს, რომელმაც ეროვნულ სასამართლოში აღძრა საქმე, შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს მოცემული მუხლის მე-2 (ბ-დ) პარაგრაფით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, თუ, ეროვნული სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ინვესტორი უარს აცხადებს ეროვნული პროცედურების გამოყენებით საქმის წარმოებაზე და გამოაქვს საქმე სასამართლოდან.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი საარბიტრაჟო პროცედურა, დავაში მონაწილე რომელიმე მხარის მოთხოვნისამებრ, ჩატარებული იქნება იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის „უცხოური საარბიტრაჟო განაჩენების აღიარებისა და აღსრულების შესახებ“ 1958 წლის 10 ივნისის ნიუ-იორკში გაფორმებული კონვენციის („ნიუ-იორკის კონვენციის“) წევრი ქვეყანა. ამ მუხლის შესაბამისად, არბიტრაჟისადმი წარდგენილი სარჩელები წარმოქმნის კომერციულ ურთიერთობას ან გარიგებას ნიუ-იორკის კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად.

5. თითოეული ხელშემკვრელი მხარე აცხადებს უპირობო თანხმობას გადასცეს მისი და მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორს შორის არსებული დავა საარბიტრაჟო ტრიბუნალს, მოცემული მუხლის შესაბამისად.

6. დავაში მონაწილე არცერთ ხელშემკვრელ მხარეს, არ შეუძლია შეეწინააღმდეგოს

რომელიმე საარბიტრაჟო სასამართლოს რომელიმე საპროცედურო ფაზას ან შეეწინააღმდეგოს საარბიტრაჟო განაჩენის აღსრულებას, მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობით ინვესტორს, წარმოადგენს დავის მეორე მხარეს, მიიღო ცნობა რომელიც მოიცავს დანაკარგების ნაწილობრივ ან მთლიან ანაზღაურების დაზღვევის საშუალებით.

7. არსებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის განაჩენი საბოლოოა და სავალდებულოა დავაში მონაწილე ორივე მხარსიათვის და აღსრულდება იმ ხელშემკვრელი მხარის ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც დაეკისრა საარბიტრაჟო განაჩენი, ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ, საარბიტრაჟო განაჩენში მითითებულ ვადაში.

მუხლი 10

ხელშემკვრელ მხარეებს შორის დავის მოგვარება

1. ხელშემკვრელ მხარეებს შორის წარმოქმნილი დავა ამ შეთანხმების დებულებების ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, თუ ეს შესაძლებელია, უნდა მოგვარდეს დიპლომატიური არხების მეშვეობით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელ მხარეებს შორის დავის მოგვარება ვერ ხერხდება მოლაპარაკებების დაწყებიდან ექვსი (6) თვის ვადაში, ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით, სადავო საქმე განსახილველად გადაეცემა საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

3. თითოეულ ინდივიდუალურ საქმისათვის მსგავსი საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაარსება მოხდება შემდეგნაირად. თითოეული ხელშემკვრელი მხარე, საარბიტრაჟო მოთხოვნის მიღებიდან ორი (2) თვის განმავლობაში, დანიშნავს ტრიბუნალის ერთ წევრს. დანიშნული ორი წევრი, ხელშემკვრელ მხარეთა თანხმობით, დანიშნავს მესამე სახელმწიფოს მოქალაქეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარედ. თავმჯდომარე დაინიშნება ოთხი (4) თვის განმავლობაში, აღნიშნული ორი წევრის დანიშვნის დღიდან.

4. თუ მოცემული მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნულ პერიოდში საჭირო დანიშვნები არ განხორციელდა, ხელშემკვრელ მხარეთაგან ნებისმიერს, სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს შესაბამისი დანიშვნები. თუ პრეზიდენტი ერთ–ერთი მხარის მოქალაქეა, ან რაღაც მიზეზის გამო ვერ ასრულებს ნახსენებ ფუნქციას, მაშინ დანიშვნები უნდა გააკეთოს ვიცე–პრეზიდენტმა. თუ ვიცე–პრეზიდენტი ასევე ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა ან რაიმე მიზეზით ვერ ახერხებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას, მაშინ შესაბამისი

დანიშვნები უნდა გააკეთოს საერთაშორისო სასამართლოს რანგით შემდეგმა წევრმა, რომელიც არ არის რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე.

5. საარბიტრაჟო ტრიბუნალში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოა და სავალდებულო იქნება ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის. თითოეული ხელშემკვრელი მხარე გადაიხდის მის მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალში დანიშნული წარმომადგენლის და ასევე საარბიტრაჟო პროცესში მისი წარმომადგენლობისათვის გაწეულ ხერჯებს. ხოლო თავმჯდომარისა და პროცესთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს ხელშემკვრელი მხარეები თანაბრად გაინაწილებენ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება გადასახადის შესახებ. სხვა საკითხებთან დაკავშირებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი თავად ადგენს პროცედურის წესებს.

6. მოცემული მუხლის 1–ლი პარაგრაფით გათვალისწინებული სადავო საკითხები გადაწყდება მოცემული ხელშემკვრელების დებულებებისა და საერთაშორისო კანონმდებლობის საზოგადოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 11 **ნებართვები**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე, თავისი კანონებისა და წესების შესაბამისად, კეთილგანწყობილად განიხილავს ინვესტიციებთან დაკავშირებულ განაცხადებს და მყისიერად გასცემს მის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციებთან დაკავშირებულ აუცილებელ ნებართვებს.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე, თავისი კანონებისა და წესების შესაბამისად, გასცემს ნებისმიერ დოკუმენტს აუცილებელს ტერიტორიაზე დროებითი შესვლისა და ყოფნისათვის იმ უცხოელ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მუშაობენ ადმინისტრატორებად, მ

ენეჯერებად, ექსპერტებად ან ტექნიკურ პერსონალად მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციებთან დაკავშირებით მანამ, სანამ ეს პირები აკმაყოფილებენ მოცემული პარაგრაფის მოთხოვნებს, ასევე გასცემს შესვლისა და ყოფნისათვის აუცილებელ დროებით დაკუმენტებს მათი ოჯახების წევრებზე (მეუღლე და არასრულწლოვანი ბავშვები) ამ პირთა დასაქმების პერიოდში.

მუხლი 12 **სხვა წესების გამოყენება**

1. თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარის კანონის დებულებანი ან საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან დაწესდა შემდგომ ხელშემკვრელ მხარეთა შორის, მოცემულ შეთანხმებასთან ერთად,

შეიცავს ზოგად თუ სპეციფიკურ დებულებებს, რომლებიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს ნებას რთავს ინვესტიციების უფრო ხელსაყრელ გამოყენებაზე, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მოცემული შეთანხმებით, მოცემულ შეთანხმებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭება ამ დებულებებს.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე გაითვალისწინებს სხვა ვალდებულებებს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთან განსაკუთრებული ინვესტიციების თაობაზე გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულებით.

მუხლი 13 **შეთანხმების გამოყენება**

წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებულ ყველა ინვესტიციაზე როგორც შეთანხმების ძალაში შესვლამდე ისე მას შემდეგ, მაგრამ არ გავრცელდება არცერთ დავაზე ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა ან ნებისმიერი სახის საჩივარზე რომელიც გადაწყდა შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

მუხლი 14 **საერთო გამონაკლისები**

1. მოცემულ შეთანხმების არცერთი პუნქტი არ ზღუდავს ხელშემკვრელ მხარეს ნებისმიერი ზომის მიღებისაგან რათა დაცულ იქნას უსაფრთხოების ინტერესები ომისა ან შეიარაღებული კონფლიქტის, ან საერთაშორისო ურთიერთობებში დამაბულობის დროს.

2. მოცემული შეთანხმების არცერთი პუნქტი არ უნდა ზღუდავდეს ხელშემკვრელ მხარეს ნებისმიერი ზომის მიღებისაგან რათა შენარჩუნებულ იქნას საზოგადოებრივი წესრიგი, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ზომები არ გამოიყენება ერთერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ, როგორც თვითნებური ან უსამართლო დისკრიმინაციის საშუალება, ან ინვესტიციების დაბანდების შენიღბული შეზღუდვა.

3. მოცემული მუხლის დებულებები არ გამოიყენება მოცემული შეთანხმების მე–7 მუხლის 1 (ე) პარაგრაფის მიმართ.

მუხლი 15 **ტრანსპარანტულობა**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს, ან სხვაგვარად გაავრცელებს იმ კანონებს, წესებს, კანონების საერთო გამოყენების პროცედურებს,

ადმინისტრაციულ დადგენილებებს, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც გამოიყენება ერთერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციების მიმართ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

2. მოცემულ შეთანხმებაში არცერთი პუნქტი არ ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხარის მიერ იმ კონფიდენციალური ან დაპატენტებული ინფორმაციის გავრცელებას ან გაცემას, კერძო ინვესტორებსა და ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, რომლის საჯაროობაც აბრკოლებს კანონის ცხოვრებაში გატარებას, ეწინააღმდეგება კანონებს კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ ან ზარალს კერძო ინვესტორების კანონიერ კომერციულ ინტერესებს.

მუხლი 16 **კონსულტაციები**

ხელშემკვრელი მხარეები, ერთერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით, ჩაატარებენ კონსულტაციებს მოცემული შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით და შეისწავლიან ნებისმიერ საკითხს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ შეთანხმებიდან. ასეთი კონსულტაციები ჩატარდება ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს შორის, სხდომის ჩატარების ადგილი და დრო შეთანხმებული იქნება შესაბამისი არხებით.

მუხლი 17 **შეთანხმების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა და მოქმედების შეწყვეტა**

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მხარეების მიერ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების დღიდან. შეთანხმება ძალაში შევა უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან ოცდამეათე დღეს.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში რჩება ოცი (20) წლის ვადით და მისი მოქმედება გრძელდება განუსაზღვრელი ვადით, სანამ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე თორმეტი (12) თვით ადრე წერილობითი ფორმით არ შეატყობინებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს თავის გადაწყვეტილებას წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

3. წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე განხორციელებული ინვესტიციებისათვის, ამ შეთანხმების 1–16 მუხლების დებულებები ძალაში დარჩება მისი მოქმედების შეწყვეტის დღიდან მომდევნო ოცი (20) წლის განმავლობაში.

აღნიშნულის დასტურად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა

ხელი მოაწერეს ამ შეთხმებას.

შესრულებულია ორ პირად ქ. ჰელსინკში 2006 წლის 24 ნოემბერს ქართულ, ფინურ და ინგლისურ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა.

ტექსტში განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

ფინეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით